89. **სვანიშვილი,** ვასილ გიორგის-ძე, თბილისის მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს ქარგალი.

90. **სიჭინავა,** მიხეილ პეტრეს-ძე, ინგურის ქაღალდის კომბინატის ცელულოზის ქარხნის ოსტატი.

91. **სლუცკაია,** ფანია მაქსიმეს-ასული, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მომღერალი.

92. **სტუპელი,** ლაზარე მარკოზის-ძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მუსიკოსი.

93. **სულაძე,** იპოლიტე დავითის-ძე, გორის წყალთა რაიონის გამგე.

94. **სუხიაშვილი,** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე, ტრესტ „საქკომუნპროექტის" წყალკანალიზაციათა განყოფილების უფროსი.

95. **ტიბილოვი,** სოლომონ გრიგოლის-ძე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწათმოქმედების განყოფილების გამგის მოადგილე და მთავარი აგრონომი.

96. **ტოგონიძე,** გიორგი ილარიონის-ძე, ამიერკავკასიის ფერადი ლითონების საძებრო-საკვლევო ტრესტის გოფრიტის სამთო-საძიებო ჯგუფის ტექნიკური ხელმძღვანელი.

97. **უნაფქოშვილი,** ნატალია ფილიპეს-ასული, თბილისის 1-ლი საბავშვო ბაღის გამგე.

98. **უპენეკი,** ნიკოლოზ ივანეს-ძე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

99. **ფარესაშვილი,** მარიამ ნიკოლოზის-ასული, მე-7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.

100. **ფიჩხაძე,** მეერ ხაიმის-ძე, ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მექანიკოსი.

101. **ქართველიშვილი,** პეტრე ბესარიონის-ძე, № 1 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

102. **ქუთათელაძე,** ანდრია ბიკენტის-ძე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის II საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი აგრონომი.

103. **ქუთათელაძე,** ეკატერინე ალექსანდრეს-ასული, თბილისის ტელეგრაფის კანტორის ტელეგრაფისტი.

104. **ყანდარელი,** მიხეილ ნიკოლოზის-ძე, აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს უფროსი.

105. **ყანჩაველი,** ლევან ალექსის-ძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

106. **ყიფიანი,** შალვა ბააკას-ძე, ბორჩალოს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწათმოქმედების განყოფილების უფროსი აგრონომი.

107. **შარაშიძე,** ილია მიხეილის-ძე, ლიმონ-მანდარინის ტრესტის მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი.

108. **შატბერაშვილი,** ვლადიმერ მიხეილის-ძე, თბილისის წისქვილ-კომბინატის ელექტრიკოსი.

109. **ჩაფიძე,** ემილ ემილეს-ძე, თბილისის შამპანური ქარხნის ტექნიკური დირექტორი.

110. **ჩილ-აკოფიანი,** ვერონიკა გიორგის-ასული, თბილისის ბამბის ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

111. **ჩიტიძე,** დავით მინაგოს-ძე, საქართველოს გუმბრინის დირექტორი.

112. **ჩლაქიშვილი,** ოლღა ელიაუსის-ასული, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.

113. **ჩოგოვაძე,** სილიბისტრო თომას-ძე, ქუთაისის აეროპორტის ავიატექნიკოსი.

114. **ჩხეიძე,** ფილიპე ილარიონის-ძე, ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხნის მეღუმელე.

115. **ცელმსი,** კარლ ავგუსტის-ძე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე.

116. **ცივაძე,** დურსუნ თევრათის-ძე, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწათმოქმედების განყოფილების აგრონომი.

117. **ციციშვილი,** დიმიტრი დავითის-ძე, დოცენტი, ლ. პ. ბერიას სახ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

118. **წიკლაური,** გრიგოლ სტეფანეს-ძე, ავტოსარემონტო ქარხნის ხარატი.

119. **ჭანუყვაძე,** მიხეილ ილარიონის-ძე, მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწათმოქმედების განყოფილების უფროსი აგრონომი.

120. **ჭეიშვილი,** ყუმანკო კონსტანტინეს-ასული, მახარაძის საბავშვო სახლის დირექტორი.

121. **ხანდოლიშვილი,** დავით ნიკოლოზის-ძე, 26 კომისრის სახ. მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი.

122. **ხარიტოვი,** ექვთიმე კონსტანტინეს-ძე, ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მექანიკოსი.

123. **ხმალაძე,** ვასილ ანდრიას-ძე, სადგ. ნავთლუღის უფროსი მეისრე.

124. **ხოფერია,** ვლადიმერ დიმიტრის-ძე, დოცენტი, ლ. პ. ბერიას სახ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

125. **ხოხლოვი,** ივანე მიხეილის-ძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელი სადგურის დირექტორი.

126. **ჯალალოვი,** მარტინ გრიგოლის-ძე, სტალინის სახ. თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის დირექტორი.

127. **ჯანელიძე,** მარიამ კირილეს-ასული, აბაშის რაიონის სოფ. გეზათის ქოხ-სამკითხველოს გამგე.

128. **ჯანჯღალაშვილი,** ვახტანგ გაბრიელის-ძე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის IV საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი აგრონომი.

129. **ჯაში,** კონსტანტინე დავითის-ძე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის IV საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი აგრონომი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

კავშირის საბჭოში

(დასასრული)

სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

დეპუტატები და სტუმრები ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

დეპუტატ ვ. დ. ნიკიტინის წინადადებით, კავშირის საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება: სწორად სცნო კავშირის საბჭოს იმ დეპუტატთა რწმუნებანი, რომლებიც არჩეული არიან მოლდავეთის სსრ, უკრაინის სს რესპუბლიკის იზმაილისა და ჩერნოვიცის ოლქების, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ ყველა საარჩევნო ოლქში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში.

— ამხანაგო დეპუტატებო,— ამბობს სხდომის თავმჯდომარე დეპუტატი ანდრეევი,— ნება მიბოძეთ კავშირის საბჭოს სახელით მივესალმო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალ დეპუტატებს, რომლებიც არჩეული არიან ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა მიერ.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. მქუხარე ოვაციით მიესალმებიან ისინი კავშირის საბჭოს ახალ დეპუტატებს—მოძმე რესპუბლიკების მიერ არჩეულთ. გაისმის მისალმების შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ VIII სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.
2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია სესიებს შორის განვლილ პერიოდში და რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

დეპუტატ დ. ს. კოროტჩენკოს წინადადება შეაქვს კავშირის საბჭოს VIII სესიის განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას კავშირის საბჭოს სესიის დღის წესრიგში.

ეს წინადადება მიღებულია ერთხმად.

დეპუტატ მ. ყურბანოვის წინადადებით, კავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება—მოხსენება სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება გატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე. გადაწყდა აგრეთვე დღის წესრიგის მეორე პუნქტი განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალცალკე სხდომებზე.

ეროვნებათა საბჭოში

25 თებერვალს კრემლში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს VIII სესია. 16 საათისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლის დიდ სასახლეში, შეიკრიბნენ დეპუტატები და სტუმრები. სტუმრებს შორის არიან: მოსკოვის საწარმოების სტახანოველები და დამკვრელები, წითელი არმიისა და დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

თავმჯდომარის მაგიდასთან გამოჩნდნენ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, დეპუტატები ჩ. ა. ასლანოვა და მ. ვ. კულაგინი. ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები. დეპუტატები და სტუმრები მათ მქუხარე ტაშით მიესალმებიან.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი ეროვნებათა საბჭოს VIII სესიას გახსნილად აცხადებს. იგი ამბობს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII და VIII სესიებს შორის განვლილ პერიოდში ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან, ლიტვის სს რესპუბლიკისაგან, ლატვიის სს რესპუბლიკისაგან, ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან, უკრაინის სს რესპუბლიკის იზმაილისა და ჩერნოვიცის ოლქებისაგან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული საარჩევნო ოლქებისაგან. ამასთან დაკავშირებით, ეროვნებათა საბჭომ უნდა მოისმინოს სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებით გამოდის დეპუტატი მ. ა. ბურმისტენკო.

—სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 და 35 მუხლების შესაბამისად, — ამბობს დეპუტატი ბურმისტენკო, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, ჩატარებულიყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან, უკრაინის სს რესპუბლიკის ჩერნოვიცისა და იზმაილის ოლქებისაგან, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან. ახლად შექმნილ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში 1941 წლის 20 იანვარს ჩატარდა არჩევნები. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სტალინური კონსტიტუციის შემოღების შემდეგ მიეცათ საშუალება ამ რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელებს აირჩიონ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში — საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ამასთან ერთად უკანასკნელ თვეებში, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 110 მუხლის შესაბამისად, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ჩატარდა დეპუტატთა არჩევნები, იმ დეპუტატების ნაცვლად, რომლებიც გამოაკლდნენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოხდა 124 საარჩევნო ოლქში. ყველა ოლქში დეპუტატებად არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

დეპუტატ ბურმისტენკოს ამ განცხადებას დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დეპუტატ ბურმისტენკოს მოჰყავს ცნობები ახალი მოკავშირე რესპუბლიკებისაგან და ოლქებისაგან, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული საარჩევნო ოლქებისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგების შესახებ. სულ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 97,01 პროცენტმა. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 97,94 პროცენტმა. მოლდავეთის სს რესპუბლიკაში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,62 პროცენტმა. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,58 პროცენტმა. შესაბამისი ციფრები: ლიტვის სს რესპუბლიკაში — 90,63 პროცენტი და 95,15 პროცენტი; ლატვიის სს რესპუბლიკაში — 97,8 პროცენტი და 98,48 პროცენტი; ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 97,32 პროცენტი და 95,73 პროცენტი; უკრაინის სს რესპუბლიკის იზმაილისა და ჩერნოვიცის ოლქებში — 99,54 პროცენტი და 98,89 პროცენტი.

ახალ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში არჩევნები ორგანიზებულად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ამ რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების დროშისქვეშ გაერთიანდნენ.

შემდეგ დეპუტატი ბურმისტენკო აქვეყნებს ცნობებს ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების შემადგენლობის შესახებ. მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან არჩეულ დეპუტატებს შორის არის: მუშა — 6, გლეხი — 9, მოსამსახურე — 10; ლიტვის სს რესპუბლიკისაგან მუშა — 8, გლეხი — 6, მოსამსახურე — 11; ლატვიის სს რესპუბლიკისაგან — მუშა — 12, გლეხი — 5, მოსამსახურე — 8; ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან მუშა—10, გლეხი—4, მოსამსახურე—11. ახლადარჩეულ დეპუტატთა ნაციონალური შემადგენლობა ხალხთა სტალინურ თანამეგობრობას განასახიერებს. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის, რომლებიც არჩეული არიან მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან, არის: 17 მოლდაველი, 4 რუსი, 3 უკრაინელი, 1 ბოშა. ლიტვის სს რესპუბლიკისაგან არჩეულ დეპუტატებს შორის არის: 22 ლიტველი, 2 ბელორუსი, 1 ებრაელი. ლატვიის სს რესპუბლიკისაგან არჩეულ დეპუტატებს შორის არის: 23 ლატვიელი, 1 რუსი, 1 პოლონელი. ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან არჩეულ დეპუტატებს შორის არის 23 ესტონელი, 2 რუსი

— ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, ბესარაბიასა და ჩრდილოეთ ბუკოვინაში ბურჟუაზია და მემამულეები ბატონობდნენ,—განაგრძობს დეპუტატი ბურმისტენკო, — ქალები არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ამჟამად ისინი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან! ამან თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვა იმით, რომ ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატებს შორის 22 ქალია.

განათლების მიხედვით დეპუტატთა შემადგენლობა შემდეგნაირად ხასიათდება: უმაღლესი განათლებით — 31 კაცი, საშუალო განათლებით — 51, დაბალი განათლებით — 42 კაცი. ასაკის მიხედვით: 7 დეპუტატი 18-დან 25 წლამდე, 77 დეპუტატი 26-დან 40 წლამდე და 40 დეპუტატი — 40 წელზე მეტი ხნისა. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს შორის არიან საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრები და უპარტიოები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში დეპუტატი ბურმისტენკო აცხადებს:

— კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმისმიცემით ახალი მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების მშრომელებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი უსაზღვრო ნდობა და ერთგულება ბოლშევიკთა პარტიისადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინისადმი!

დეპუტატი ბურმისტენკო აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ, შეამოწმა რა თვითეული დეპუტატის საარჩევნო დოკუმენტები და მასალები, დაადასტურა, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები 124-ვე ოლქში ჩატარებულია სწორად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

დეპუტატ ა. ალიევის წინადადებით, ეროვნებათა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომლებიც არჩეული არიან ყველა საარჩევნო ოლქებში მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან, უკრაინის სს რესპუბლიკის იზმაილისა და ჩერნოვიცის ოლქებისაგან, ლიტვის სს რესპუბლიკისაგან, ლატვიის სს რესპუბლიკისაგან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული საარჩევნო ოლქებისაგან.

სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი ეროვნებათა საბჭოს სახელით მიესალმება ეროვნებათა საბჭოს ახალ დეპუტატებს — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის ხალხთა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცალკეული საარჩევნო ოლქების მიერ არჩეულთ. მის სიტყვებს ხვდებიან მქუხარე ოვაციით მოძმე ხალხთა მიერ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში წარგზავნილთა პატივსაცემად.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს VIII სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.
2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიებს შორის განვლილ პერიოდში და რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

დეპუტატ ა. დ. მენბარიევის წინადადებით, აღნიშნული საკითხები შეტანილია ეროვნებათა საბჭოს VIII სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ დ. ე. ოტიანის წინადადებით, ერთხმად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მოხსენება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება გატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე. გადაწყდა პალატების ცალცალკე სხდომებზე იქნას განხილული დღის წესრიგის მეორე პუნქტიც. (საკდესი).

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

25 თებერვალს საღამოს შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

19 საათია. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. სტუმრებს შორის, ისე როგორც დილით, არიან მრეწველობის, ტრანსპორტის, წითელი არმიის წარჩინებული ადამიანები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები. საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟებში არცერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

თავმჯდომარის მაგიდასთან არიან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ა. ა. ანდრეევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი, ორივე პალატის თავმჯდომარეთა მოადგილეები—დეპუტატები ტ. დ. ლისენკო, უ. იუსუპოვი, ჩ. ა. ასლანოვა და მ. ვ. კულაგინი. ლოჟებში არიან ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. ა. ვოზნესენსკი, გ. მ. მალენკოვი, ს. კ. ტიმოშენკო, მ. ფ. შკირიატოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. გ. კუზნეცოვი, რ. ს. ზემლიაჩკა, ს. მ. ბუდიონი, კ. ი. ნიკოლაევა, ი. ტ. თევოსიანი, ა. გ. ზვერევი, ა. ი. ეფრემოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა წევრები და მთავრობის წევრები.

ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების გამოჩენას მქუხარე ოვაციით ხვდებიან. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და აღფრთოვანებით მიესალმებიან დიდ სტალინს და მის თანამებრძოლებს. ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება. დარბაზის ყველა კუთხიდან სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომას ხსნის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი. დღის წესრიგში დგას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოდის სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ა. გ. ზვერევი, რომელსაც ტაშით ხვდებიან.

ამხ. ზვერევი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რაც წარმოდგენილია სესიის დასამტკიცებლად, შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის სრული შესაბამისობით და მოწოდებულია საჭირო სახსრებით უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის შემდგომი სამეურნეო, კულტურული და თავდაცვითი მშენებლობა.

მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ზრდას.

— საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერება, — ამბობს იგი, — გაიზარდა და გან[illegible] მისი საზღვრები. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო 16 სოციალისტური რესპუბლიკის ძლიერი კავშირი გახდა. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმისაკენ. მთელ თავის წარმატებებს იგი უნდა უმადლოდეს ხალხთა გენიალურ მასწავლებელსა და ბელადს—ჩვენს დიდ სტალინს!

ეს სიტყვები დარბაზში მძლავრ ოვაციას იწვევს. ყველანი ფეხზე დგებიან. დიდხანს არა სცხრება აღფრთოვანებული მისალმება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის პატივსაცემად. სსრ კავშირის მრავალი ხალხის ენაზე გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

— ვაშა დიდ სტალინს!

დეპუტატებმა დიდი კმაყოფილებით მოისმინეს მომხსენებლის განცხადება, რომ, 1940 წელთან შედარებით, სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 38 მილიარდი მანეთით—21,4 პროცენტით.

ახასიათებს რა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, ამხ. ზვერევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის წარმატებით შესრულება განუყრელად არის დაკავშირებული XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან, იმ კონფერენციისა, რომელმაც დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა და გვიჩვენა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ძირითად ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები.

მომხსენებელი გადადის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილზე. მას მოჰყავს ციფრები, რომლებიც მოწმობენ სოციალიზმის ქვეყნის განუხრელ და სწრაფ ზრდას. მნიშვნელოვნად დიდდება ხარჯები სახალხო მეურნეობისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის. განსაკუთრებული ყურადღებითა და შინაგანი სიამაყით ისმენენ დეპუტატები და სტუმრები ამ შესანიშნავ ციფრებს. მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისათვის არის შესაძლებელი ასეთი გრანდიოზული გაქანება, ასეთი გიგანტური მასშტაბები!

როდესაც ამხ. ზვერევი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობა, გამოდის რა თანამედროვე დაძაბული საერთაშორისო ვითარებიდან და მთელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცების აუცილებლობიდან, 1941 წელს თავდაცვის საჭიროებისათვის 70.900 მილიონი მანეთის გაღებას მოითხოვს, დარბაზში მქუხარე ოვაცია იმართება. ყველანი ფეხზე დგებიან. ხანგრძლივი ტაშის გრიალში, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად მისალმებათა აღფრთოვანებულ შეძახილებში მძლავრად გაისმის მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისმძლე ძალა, 193-მილიონიანი საბჭოთა ხალხის ურყევი მისწრაფება—დაუღალავად განამტკიცოს თავისი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვა.

ამხ. ზვერევის მოხსენების დამთავრების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი ა. ა. ანდრეევი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას დახურულად აცხადებს. (საკდესი).

აკად. ნ. ი. მუსხელიშვილი
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

აკად. ს. ნ. ჯანაშია
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

26 თებერვალს შესდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი საორგანიზაციო საერთო კრება.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი საორგანიზაციო საერთო კრება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით გახსნა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველმა საერთო კრებამ აირჩია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდიუმის წევრები.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად — აკადემიკოსი ს. ნ. ჯანაშია.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ აკადემიკოსები: ი. ს. ბერიტაშვილი, გ. ს. ახვლედიანი, ა. ი. ჯანელიძე, ნ. ნ. კეცხოველი და კ. ს. ზავრიევი.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ი. ყ. თავაძემ.

○

იმავე დღეს შესდგა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების საორგანიზაციო სხდომები.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკადემიკოსი ა. ი. ჯანელიძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ— აკადემიკოსი გ. ს. ახვლედიანი.

დღეს, 27 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზში მუშაობას დაიწყებს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია.

სესიის პირველი საზეიმო სხდომა მიეძღვნება საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას. სესიის პლენარულ სხდომაზე მოსმენილი იქნება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის მოხსენება თემაზე: „მეცნიერება საქართველოში ოცი წლის მანძილზე“ და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას მოხსენება „მცხეთა—საქართველოს ძველი დედაქალაქი“.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ სესიაზე იმუშავებს ხუთი სექცია: ქიმიის, გეოფიზიკისა და ენერგეტიკის, გეოლოგიის, მათემატიკის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა. სექციების სხდომებზე მოსმენილი და განხილული იქნება 40-მდე მოხსენება.

სესიის მუშაობის დღეებში მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალში გაიხსნება გამოფენა, რომელიც ასახავს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მეცნიერულ მუშაობას დაარსებიდან დღემდე.

გამოფენაში წარმოდგენილი იქნება აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ბოტანიკის და ქიმიის ინსტიტუტების და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ზოოლოგიური და ენერგეტიკული სექტორების მუშაობის ამსახველი ექსპონატები, ცალკეული გამოცემები და დიაგრამები.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესიის მუშაობა გასტანს 2 მარტამდე.

სავაჭრო ხელშეკრულების დადება სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის

26 თებერვალს ქ. მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ და შეთანხმება საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის.

სავაჭრო ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ უმეტესი მფარველობის პრინციპას გამოყენებას.

საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ შეთანხმებაში საერთო საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის შეთანხმების მოქმედების პირველი წლისათვის განსაზღვრულია 8 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით, ოთხ-ოთხი მილიონი დოლარის რაოდენობით თვითეული მხარისათვის.

სსრ კავშირში რუმინეთის ექსპორტის მთავარი მუხლი იქნება ბენზინი, ხოლო რუმინეთში სსრ კავშირის ექსპორტის მთავარი მუხლი—ბამბა და თუჯი.

საბჭოთა კავშირის მხრივ ზემოაღნიშნულ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ე. მ. ლებედევმა; რუმინეთის მხრივ—რუმინეთის სრულუფლებიანმა მინისტრმა და მოსკოველმა საგანგებო დესპანმა ბ-ნმა გ. გაფენკუმ და რუმინეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარემ ბ-ნმა პ. ნემოიანუმ. (საკდესი).

ქ რ ო ნ ი კ ა

თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ტიმოშენკოს და წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერლის ამხ. ჟუკოვის სახელზე წითელი არმიის XXIII წლისთავის გამო მოსულია მილოცვები, რომლებიც გამოგზავნილია მთელი რიგი ქვეყნების მთავარსარდალთა და გენერალური შტაბის უფროსთაგან. მილოცვის გადმოსაცემად სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილებას პირადად ეწვიენენ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ატაშე 1-ლი რანგის კაპიტანი ბ-ნი ფონ ბაუმბახი, იტალიის სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ბ-ნი ვიელი, ჩინეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეს მოვალეობის ამსრულებელი პოდპოლკოვნიკი ბ-ნი ჯან პეი-ჯაი და გერმანიის სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე ობერშტაბს ინჟინერი ბ-ნი ვუნდერლიხი.

წერილობითი მილოცვა გამოგზავნეს მარშალმა ჩან კაი-შიმ, ჩინეთის რესპუბლიკის მოსკოველმა ელჩმა ბ-ნმა შაო ლი-ძიმ, ინგლისის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა გრირმა, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ატაშემ პოლკოვნიკმა ჰელაუელმა, იუგოსლავიის სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშემ პოლკოვნიკმა პოპოვიჩმა, ბულგარეთის სამხედრო ატაშემ მაიორმა კუბადინოვმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშემ მაიორმა ეიტონმა, თურქეთის სამხედრო ატაშემ პოდპოლკოვნიკმა თურქმენმა, ფინეთის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა ლიუტინენმა, შვეციის სამხედრო ატაშემ მაიორმა ფლოდსტრემმა და შვეციის სამხედრო-საჰაერო ატაშემ კაპიტანმა ვენერსტრენმა.

ანალოგიური მილოცვები სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის ადმირალ ამხ. კუზნეცოვისა და მთავარი საზღვაო შტაბის უფროსის ადმირალ ამხ. გალერის სახელზე გამოგზავნეს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ატაშემ 1-ლი რანგის კაპიტანმა ფონ ბაუმბახმა, იტალიის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშემ პოლკოვნიკმა ვიელმა და იაპონიის სამხედრო-საზღვაო ატაშემ 1-ლი რანგის კაპიტანმა იამაგუტიმ, რომელნიც პირადად ეწვიენენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილებას. გარდა ამისა, წერილობითი მილოცვა გამოგზავნეს ინგლისის სამხედრო ატაშემ კაპიტანმა კლებჩმა, იუგოსლავიის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშემ პოლკოვნიკმა პოპოვიჩმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშემ მაიორმა ეიტონმა და მისმა თანაშემწემ მიჩელამ.

რადიოგადაცემა დღეს

13.00 — ტრანსლაცია ქალაქ გორიდან; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.45 — საუბარი ქართულ ენაზე „ერთი პარტორგანიზაციის მაგალითი“; 18.00 — კონცერტი კოლმეურნეთა დაკვეთით; 18.30 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 18.58 — დროის შემოწმება; 19.20 — კონცერტი; 20.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.40 — კონცერტი; 22.06 — ძმ მანიძეების სიმებიანი კვარტეტი; 22.55 — ალექსანდროვის ოპერეტა „ქორწილი მალინოვკაში“ (მონტაჟი); 24.00 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

კომუნიზმის გზა სასწაულებს ახდენს

დიდი ხნის შემდეგ კვლავ წილად მხვდა ბედნიერება ჩამოვსულიყავი მზიურ საქართველოში, მშვენიერ თბილისში. რა დიდი ცვლილებაა! სრულიად ახლებურად ელვარებს ეს საუცხოო ქალაქი, რომელსაც ვერცერთი სხვა ქალაქი ვერ შეედრება!

ქართველმა ხალხმა ჰპოვა თავისი ნამდვილი გზა — კომუნიზმის გზა, და სასწაულებს ახდენს.

იუბილე გადაიქცა სსრ კავშირის ხალხთა მგზნებარე მეგობრობის მარად დაუვიწყარ დღესასწაულად.

ო. შმიდტი

მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები თბილისში

უკვე რამდენიმე დღეა თბილისში იმყოფებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის ზეიმზე დასასწრებად მოძმე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებიდან ჩამოსული დელეგაციები. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის ამ საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული სტალინური ადგილები — ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, ყოფილი სასულიერო სემინარია, ბოზარჯიანცის ყოფილი თამბაქოს ფაბრიკა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანა, მომკავშირული ხეივანი, ფუნიკულორი და სხვ.

დელეგატების ერთი ნაწილი იყო კოჯორში, მცხეთაში და ქალაქის სხვა მახლობელ საინტერესო ადგილებში.

თათრეთის ასსრ მშრომელთა დელეგაცია

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის ზეიმზე დასასწრებად თბილისში ჩამოვიდა თათრეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელშიაც 3 კაცია.

დელეგაციას ხელმძღვანელობს ყაზანის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის დირექტორი, ორდენოსანი ა. არნაუტოვი. დელეგაციის წევრები არიან—თათრეთის ასსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ნ. ლოტინოვი და მხატვარი სალიხ სუნგატულინოვი.

დელეგაციამ ჩამოიტანა თათრეთის ასსრ მშრომელთაგან გამოგზავნილი საჩუქარი — ძვირფასი ბეწვეულისაგან ნაკეთებ გობელენზე გამოსახული პორტრეტი ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

27 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლადო კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი სხდომა.

პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

27 თებერვალს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართულ ენაზე ჩატარდება ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან. თემა: „ბოლშევიკური პარტიის კურსი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. პარტიის VI ყრილობა“.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: რუსთაველის სახელობის — „უკანასკნელი რაინდი“ (პრემიერა), მარჯანიშვილის სახელობის — „მარგარიტა გოტიე“, მუსკომედია — „თივა და [illegible] ძაღლი“, სანკულტურის ქართული თეატრი — „ბრმა მუსიკოსი“, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „პატარა მეომრები“ (მე-35 აბ.).

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ქარი აღმოსავლეთიდან“, დღისით — „ვიბორგის მხარე“, ოქტომბერი — „ქარი აღმოსავლეთიდან“, დამკვრელი — „გზაში“, დღისით — „მიტკა ლელიუკი“, კომკავშირელი — „წითელი ეშმაკუნები“, ლუქსემბურგის სახ. — „გზაში“, სპარტაკი — „სუვოროვი“, 26 კომ. სახ. — „პატიმარნი“, კომინტერნი — „ქალი ხიდობნიდან“, განთიადი — „სუვოროვი“, ნავთლუღი — „სუვოროვი“, წითელი არმიის სახლი — „კაპიტან გრანტის შვილები“, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „მუსიკალური ისტორია“, მეცნიერება და ცოდნა — „თავადის ასული მერი“, საზ.კვების კავშირის კლუბი — „იაკობ სვერდლოვი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

27 თებერვალს
ლადო კეცხოველი

28 თებერვალს
1 ს. და 9 [illegible]
აბესალომ და ეთერი

1 მარტს
მე-2 ს. და 9 [illegible]
დაისი

დასაწყისი საღამოს 8 ს.

მეუღლე ანა, შვილები მარო, ნინო, ოთარი, და მაკრინე, სიძეები ი. პიპინაძე, ნ. ჩიხლაძე, ე. ბახტაძე, შვილიშვილები იუწყებიან
ივანე ანტონის-ძე ბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/II 7 ს. თუზის, 25. გამოსვენება 28/II 6 ს. 10922

ქმარი ანგი რამიშვილი იუწყება
ნინო დარისპანის ასულ ცუცქირიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ახალციხეში 27/II. შაუმიანის 8. 10923

ქმარი შაქრო, შვილები მედიკო, ნოდო, ოიალა, გოგი, დედამთილი სონია აბზარდანაშვილები, და ანეტა, სიძე ყანდაშვილი შვილებით იუწყებიან
მ ა რ ო ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/II 5½ ს. სანთლის, 4. 10925

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 14 ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილე — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის 3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3-08-88; განყოფილებები: პარტიული და კომკავშირის — 3-81-84; საბჭოთა სამეურნეო — 3-73-40; ეკონომიურისა და განათლება, ჯანმრთელობის 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3-80-84; საქალაქო — 3-57-61; წერილების — 3-73-24; პ/მგ მიღებისა და გამოშვების 3-81-65; გამომცემლობის — 3-51-81; სტამბის დირექტორის — 3-77-70 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.